



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 144

ქალაქი ქუთაისი 31 აგვისტო 2016 წელი

ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“
მწვრთნელ-მასწავლებელთა ხელფასის გაანგარიშების
წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის № 67 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მწვრთნელ-მასწავლებელთა ხელფასის გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის №67 დადგენილებაში /www. matsne.gov.ge 28.01.2015. 010250020.35.123.016277/ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მწვრთნელ-მასწავლებელთა ხელფასის გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მწვრთნელ-მასწავლებელთა საბაზისო ხელფასი განისაზღვროს 125 ლარის ოდენობით, ხოლო, ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალის „ქალაქ ქუთაისის ყინულის მოედნის“ ფიგურული ციგაობისა და ჰოკეის მწვრთნელ-მასწავლებელთა ხელფასი – 300 ლარის ოდენობით“.

2. დადგენილებით დამტკიცებული ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მწვრთნელ-მასწავლებელთა ხელფასის გაანგარიშების წესის“ მე-4 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ერთი კვირეული საათის ღირებულება განისაზღვროს 17 ლარის ოდენობით, ხოლო, ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალის „ქალაქ ქუთაისის ყინულის მოედნის“ ფიგურული ციგაობისა და ჰოკეის მწვრთნელ-მასწავლებელთათვის – 35 ლარის ოდენობით“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.